## საავადმყოფოდან გამოსვლის შემდეგ

გუშინ ქარიშხალს სევდა მოჰქონდა,
ისევ წაიღებს ალბათ დილისთვის.
დღეს გამოვედი საავადმყოფოდან
და მოვიარე მთელი თბილისი.

თითქო მიხდიდნენ გუშინ პანაშვიდს,
გულო! ყოველთვის მე შენ მღალავდი.
თითქო ვიყავი სხვა ქვეყანაში
და მეუცხოვა მთელი ქალაქი.
და ვიგონებდი იმ დროს, როდესაც
მიყავი უფრო ძლიერი ღონის.
და ქალაქიდან უცებ მომესმა
ხმაური ქუჩის და გრამაფონის.

გუშინ ქარიშხალს სევდა მოჰქონდა,
ისევ წაიღებს ალბათ დილისთვის.
დღეს გამოვედი საავადმყოფოდან
და მოვიარე მთელი თბილისი.

არ მიგრძვნია ჩემი დედის ძუძუ,[3]
ყველაფერი სიზმარივით მიდის.
ქარი ებრძვის მადათოვის კუნძულს,
ვერ ვისვენებ და ღამეა დიდი